

**შპს „ჯეო-ემ ტექსი“-ს 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება, საქმიანობის შედეგები
და განმარტებითი შენიშვნები**

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	75 177	2 960
სავაჭრო მოთხოვნები	286 251	21 827
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	36 152	223 375
მარაგები	-	-
- მზა პროდუქცია		
- სხვა		
საინვესტიციო ქონება	6 004 736	6 725 147
სხვა მიმდინარე აქტივები	670 296	141 830
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	130 060	130 060
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	7 202 672	7 245 199
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	16 967	15 416
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	170 785	57 821
საგადასახადო ვალდებულებები	68 281	42 916
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	890 392	98 186
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7 843 976	8 067 308
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	37 414	7 509
სულ ვალდებულებები	9 027 815	8 289 156
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1 825 143)	(1 043 957)
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	(1 825 143)	(1 043 957)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 202 672	7 245 199

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი

ნეტო ამონაგები	1,578,393
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	1,578,393
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-
საწყისი მარაგები	
მარაგების შესყიდვა	
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	
საერთო მოგება	1,578,393
სხვა შემოსავალი	1,026
დასაქმებულთა ანაზღაურება	(313,524)
ცვეთა და ამორტიზაცია	(763,780)
საპროცენტო შემოსავალი:	46,195
საპროცენტო ხარჯი :	(568,060)
იჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(320,590)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,918,733)
საოპერაციო მოგება	(340,340)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(466,271)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	25,425
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცია	(781,186)
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	(781,186)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(781,186)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,043,957)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(781,186)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1,825,143)

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯეო-ემ ტექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის პაგვისტოსსაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405111882, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ნინუას ქ. N 3. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია რამაზ საღარაძე(პ.ნ.01024047910).

1.3. კომპანიის დირექტორიარამაზ საღარაძე (პ.ნ.01024047910).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობასაკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი

დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრომოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის

ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 20%;

ინვენტარი - 20%;

სპეციალური ინსტრუმენტები - 20%;

ეზოს კეთილმოწყობა - 10%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2018 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	75079	2960
ევროები საბანკო ანგარიშებზე	98	0
სულ:	75177	2960

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გაცემული მოკლევადიანი პროცენტის სესხები	663293	3138
სულ:	663293	3138

2018 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 2 იურიდიულ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს, რომელთაგან ერთი წარმოშობილია

2017, ხოლო მეორე 2018 წელს გაცემული მოკლევადიანი სესხიდან, რომელიც პროცენტთან ერთად დაიფარა 2019 წელს ივლისში.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	15801	21827
დებიტორული მოთხოვნა მიწის რეალიზაციიდან	270450	
სულ:	286251	21827

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 1 იურიდიული და 1 ფიზიკური პირის წინაშე, სულ 2 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2787	219629
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	29632	728
წინასწარ ანაზღაურებული სადაზღვევო ხარჯი	3734	3018
სულ:	36153	223375

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 2500 ლარი და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები მიეკუთვნება სამომავლო სამშენებლო პროექტის განხორციელებას.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	399	
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	6603	138692
სულ:	7002	138692

მოთხოვნა საწარმოს პერსონალის წინაშე დაიფარა 2019 წელს.

3.6. საინვესტიციო ქონება:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწარასასოფლოსამეურნეო 5312 კვ.მ. 01.12.12.001.160	610880	610880
სულ:	610880	610880

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დაუმონტაჟებელი მოწყობილობა	2373	2373		
შენობები	3796572	4724	219619	4011467
მანქანა-დანადგარები	1378970		476048	1855018
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	50018	-5904	15146	71068
ოფისის აღჭურვილობა	16213	12649	3895	7459
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	7421	2037	2885	8268
ავტო	103875	27491	37055	113439
ინვენტარი	5137		2043	7180
სპეციალური ინსტრუმენტები	4836		1934	6770
ეზოს კეთილმოწყობა	27978		4458	32436
1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალოები	464		699	1163
სულ:	5393856	43369	763780	6114267

3.7 ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიწა სასოფლო-სამეურნეო 1200 კვ.მ. 81.02.97.247	130060	130060
სულ:	130060	130060

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1750477 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 995837 ლარი:

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	16967	15416
სულ:	16967	15416

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 16 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე, რომელიც მიმდინარე დავალიანებებს წარმოადგენს და იფარება 2019 წლის დასაწყისში.

3.9. ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	170785	57821
სულ:	170785	57821

3.10. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	104358	66975
იურიდიული პირისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	190436	
ჰალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	591786	
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	3812	199
იურიდიულ პირისგან მიღებული გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი		31012
სულ:	890392	98186

„ჰალიკბანკიდან“ აღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის გამოხატულება ევროებში 2018 წლის ბოლოს შეადგენს 192758 EURO-ს, ხოლო იურიდიული პირისგან აღებული 62029 EURO-ს.

3.11. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	68281	42916
სულ:	68281	42916

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2019 წლის 15 იანვრისთვის.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
იურიდიული პირისაგან მიღებული (USD) გრძელვადიანი სესხი		1923794
იურიდიული პირისაგან მიღებული (EURO) გრძელვადიანი სესხი	1695232	
ჰალიკბანკი გრძელვადიანი სესხი 1 (USD)		6143514
ჰალიკბანკი გრძელვადიანი სესხი 2 (EURO)	5543492	
ჰალიკბანკი გრძელვადიანი სესხი 3 (EURO)	605252	
სულ:	7843976	8067308

„ჰალიკბანკიდან“ აღებული გრძელვადიანი სესხის გამოხატულება ევროებში 2018 წლის ბოლოს შეადგენს 2002783 EURO-ს, ხოლო იურიდიული პირისაგან აღებული 552175 EURO-ს.

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (დამფუძნებლის წინაშე)	37414	
სხვა ვალდებულებები (ანგარიშვალდებული პირის წინაშე)		2173
მიღებული ავანსები		5336
სულ:	37414	7509

ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე იფარება 2019 წელს.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	-1825143	-1043957
სულ:	-1825143	-1043957

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა საიჯარო მომსახურებიდან.

	2018 წელი
საიჯარო შემოსავლები	1515426
შემოსავალი მომსახურებიდან	13102
სხვა შემოსავალი (საშუამავლო)	49865
სულ:	1578393

3.16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-313524
ცვეთა და ამორტიზაცია	-763780
საპროცენტო ხარჯები (ბანკის სესხებზე დარიცხული პროცენტები)	-417416
საპროცენტო ხარჯები (იურიდიულ პირებზე დარიცხული)	-150644
სარეკლამო ხარჯები	-6437
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-58942
ქონების დაზღვევის ხარჯი	-7575
სარემონტო ხარჯები	-18744
საკონსულტაციო ხარჯი	-19000
დაცვის ხარჯი	-65085
კომუნალური ხარჯები	-84087
მივლინების ხარჯი	-32750
საბანკო ხარჯები	-8650
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-19320
სულ:	-1965954

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები:

სხვა შემოსავალი	1026
ფინანსური შემოსავლები (იურიდიულ პირზე გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი)	46195
სულ:	47221

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
დადებითი საკუროსო სხვაობები	638827
უარყოფითი საკუროსო სხვაობები	-1105098
სულ:	-466271

3.19. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი:

	2018 წელი
ძს რეალიზაციიდან მიღებული მოგება	25499
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-74
სულ:	25425

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

ნ. /*წმინდა* /

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ზოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,177	2,960
სავაჭრო მოთხოვნები	286,251	21,827
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	36,152	223,375
მარაგები	-	-
- შზა პროდუქცია	-	-
- სხვა	-	-
საინვესტიციო ქონება	6,004,736	6,725,147
სხვა მიმდინარე აქტივები	670,296	141,830
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	130,060	130,060
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიაში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	7,202,672	7,245,199
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	16,967	15,416
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანაშემრომელთა მიმართ	170,785	57,821
საგადასახადო ვალდებულებები	68,281	42,916
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	890,392	98,186
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7,843,976	8,067,308
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	37,414	7,509
სულ ვალდებულებები	9,027,815	8,289,156
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	-	-
საენისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,825,143)	(1,043,957)
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	(1,825,143)	(1,043,957)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,202,672	7,245,199

შპს „ჯეო-ემ ტექსტილ“ ს დირექტორი

Handwritten signature

რამაზ საღარაძე

საქმიანობის შედეგები

საანგარიშგებო პერიოდი

ნეტო ამონაგები	1,578,393
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	1,578,393
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-
საწყისი მარაგები	
მარაგების შესყიდვა	
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	
საერთო მოგება	1,578,393
სხვა შემოსავალი	1,026
დასაქმებულთა ანაზღაურება	(313,524)
ცვეთა და ამორტიზაცია	(763,780)
საპროცენტო შემოსავალი:	46,195
საპროცენტო ხარჯი :	(568,060)
ოჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(320,590)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,918,733)
საოპერაციო მოგება	(340,340)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(466,271)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	25,425
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(781,186)
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	(781,186)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერსი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
ბოლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(781,186)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,043,957)
ახალი აქტივების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(781,186)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(1,825,143)

შპს „ჯეო-ემ ტექსი“ს დირექტორი

ჩ. სოსიძე რამაზ საღარაძე